



ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ხარისხის მართვის პოლიტიკა

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N11.

თარიღი: 15.09.2023 წ.

დადგენილება N29.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N22



მუხლი 1. ხარისხის მართვის პოლიტიკის არსი

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ხარისხის მართვის პოლიტიკა ეფუძნება უმაღლეს განათლებაში ხარისხის ევროპულ და ეროვნულ სააგენტოებში შემუშავებულ სტანდარტებს და ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული დოკუმენტი გამომდინარეობს და თანხვედრაშია უნივერსიტეტის მიზნებთან და მისიასთან. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის განვითარება;
- საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;
- ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება;
- სტუდენტთა მომსახურების სერვისების ხელშეწყობა;
- საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტის როლის გაზრდა.

1.2. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის განვითარება მოიცავს:

- შიდა ხარისხის პროცედურების შემუშავება, განხორციელება და შეფასება;
- პროგრამების მონიტორინგი და პერიოდულ შემოწმება;
- სასწავლო რესურსების ხარისხის შემოწმება;
- სტუდენტებისა და პროფესორების სასწავლო და სამუშაო გარემოს ხარისხის შემოწმება;
- სალექციო პროცესის მონიტორინგი;
- სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შიდა ხარისხის პროცედურებში ჩართვა.

1.3. საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება მოიცავს:

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და მოქმედი პროგრამების მოდიფიცირება. სემესტრის დასაწყისში სილაბუსების გადახედვა და განახლება;
- ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვა;
- აკადემიური და მოწვეული პროფესორების განვითარება და სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; პროგრამის შეფასება; აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება და ა.შ.);
- სტუდენტთა მოთხოვნებზე მორგებული, მოქნილი გრაფიკი;
- ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება;
- საგამოცდო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

1.4. ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება მოიცავს:

- მოწვეული და აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა პროფესიული განვითარებისთვის და წახალისება სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
- ტრენინგების უზრუნველყოფა მოწვეული და აკადემიური პროფესორებისთვის;
- მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა;
- მატერიალური რესურსის გაუმჯობესება, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების გაუმჯობესებას.

1.5. სტუდენტთა მომსახურების სერვისების ხელშეწყობა მოიცავს:

- სასწავლო პროცესის დაგეგმვა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საკონსულტაციო შეხვედრების დანერგვა/უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სტუდენტთა კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება;
- სტუდენტური ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა;
- კარიერული მხარდაჭერის სერვისის ხარისხის გაუმჯობესება.

1.6. საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტის როლის გაზრდა მოიცავს:

- საგანმანათლებლო - შემეცნებით, ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის ხარისხის ამაღლება.

მუხლი 2. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

2.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

2.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

2.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

2.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.